

# მეატრი



სეოველ-კვიზა ლიტერატურული და მხატვრობითი კაზეთი.

26 იანვარს

გ ა მ რ ი ც ე მ ა

№ 4

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ

1886 წელსა.

ფასი „ოკტრი“-ს წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარწლით სუთი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „ოკტრი“-სა ღირს სამა შაურა. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „ოკტრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მისაღებად თბილისის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ქართული თეატრი

1886

კვირას, 19 იანვარს

ბ ე ნ ე ტ ი ს ი

მ. მ. საუაროვი-აბაშიძისა

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ბ ე ნ ი ე რ ი დ ე

კომედ. 3 მოქმედ.

II

ჰ ა მ ლ ე ბ ი

2 და 3 სცენა (4 მოქმედებიდამ)

III

პ რ ა კ ა შ ი კ ი ს დ ე ე ლ ი

მოდელი I მოქმედ.

დასასრულ

ლ ე კ უ რ ი

ადგილების ფასი საბენეფისოა

დასაწყისი 8 საათზედ.

ვისაც გაზეთი «მეატრი»-ს გამოწერა სურს, უმორჩილესად ესთხოვთ შავკრძაფის სააგენტოში ნუგადარ მიმართავს. ვისაც ამ სააგენტოს საშუალებით გამოუწერია გაზეთი «მეატრი» ესთხოვთ საჩქაროდ გაცნობონ აღრესი.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ „თეატრი“-ს რედაქციაში.

ქართული თეატრი

შმათერესი მიზეზი ქართულის სცენის სამწუხარო მდგომარეობისა არის სიღარიბე ჩვენი რეპერტუარისა. მრისთავმა და ანტონოვმა თავიანთი დრო გადაჰმეს და თითქმის ყველას კბილები დააჭრეს. სამუდამოდ ქართული სცენის დაარსებამ თითქმის იმდენი დრამატული მწერლები დაჰბადა, რამდენიც ქართული ანბანის მკოდნეა ჩვენში, მაგრამ ამ დრამატულ მწერალთა აუარებლობამ ერთხელ კიდევ თვალწათლივ დაგვანახვა უკვდავი ჰოეტის სიტყვების ქეშმარიტება: «ოდეს ტურუა გაიფედეს აღარ ღირდეს არცა ჩირადა! ახალი დროის მწერალთა შორის შეიძლება დავსახელოთ მარტო პაკი და საგარელი, მხოლოდ ამათმა პიესებმა დაიჭირეს ქართულს რეპერტუარში შესამჩნევი ალაგი, მაგრამ, მოგვხსენებთ, პატარა სოფელში ბეგარა ხშირად მიერგებთ ხოლმე და, როგორც რუსები ამბობენ, ამათი პიესები იმდენი ხედნეს, რომ ჯავლაგებს დაამსგავსეს. ამათ



გარე ჩვენს რეპერტუარში დარჩა, მართლა და, დიდი რიცხვი ნათარგმნი პიესებისა უფრო რუსულიდამ. ღმერთო ჩემო, ვინ სთარგმნის, რაგებს სთარგმნის და რა ენითა სთარგმნის? ღაუღალავემა მთარგმნელებმა ქართული რეპერტუარი სწორედ ზღაპრულს ავგიოსის ბოსელს დაამავსეს, რომელსაც ახალი გერკულესი ეჭირებდა, რომ ამოდენა ნაგვისაგან გასწმინდოს. არ ვიცი თ ჩვენი პატივცემული დრამატული საზოგადოება შესძლებს თუ არა გერკულესობას, მაგრამ ეს ძნელი საქმე კი მას ვერ ასცდება.

12 იანვარს, კერა საღამოზედ, ჩვენმა დასმა წარმოადგინა რუსულათ ნათარგმნი ოთხ მოქმედებიანი და ხუთ სურათიანი დრამა „მგოსანი“. ამ ახირებულის პიესის მაჟურებელს შეუძლიან მხოლოდ, სთქვას: „დაფეკე და ბეერი ვიტრე, ზედ მიეყარე ქვა წერილი“! მართულ სცენაზედ დადგმულს პიესას უეჭველად ორში ერთი ღირსება უნდა ჰქონდეს: იმან ან უნდა, ჩვენს ნაღვლიანს და „პრიკაზისა“ და ბანკის ვალებისაგან წელში მოხრილს საზოგადოებას პატარა ხანს მინც გადუყაროს, შეუმსუბუქოს გულში ჩაწოლილი სევდა და გაამხიარულოს, ან არა და რაიმე ზნეობითი გაცვეთილი მისცეს, აუღსნას, ან დააფიქროს მინც ცხოვრების რომელიმე საინტერესო კითხვაზედ. „მგოსანისთანა“ დრამები არც პირველს მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, არც მეორეს. თქალწინ გეხატებთ უბედური ცხოვრება ახალგაზდა პლესოვისა, რომელიც თავის საუბედუროდ მუზას სამსახურს გაუტაცნია და გვერდით ერთი თანამგრილობელი არა ჰყავს და გულ შემატკივარი. მაჟირეებისაგან წელ-მოწყვეტილი ეცემა და მოწყალეებას სთხოვს მათ, ვის საქციელსაც ისე მკაცრათა ჰგომბდა. მერე სულ გლახავდება და ბოლომდე ათრევეს მიიმე ბარგივით გაწარებულს სიცოცხლეს, მინამ ღობის ძირში საღმე სული არ ამოსძვრება. მაშინ სხვა იქნებოდა, რომ „მგოსანის“ გმირს ბოლომდე თავი გაეტანა და იმ ჯურის კაცად იყოს გამოხატული, რომელიც ჩვენს პოეტს ორი კაღმის გასმითა აქვს დახატული:

«ჰა, წარმომიდა მე თვალის წინა,  
მაჟირეებისგან რომ ტრემოსა ჰღერიდა,  
მაგრამ მტკიცე და პატიოსანი  
ბოროტების წინ თავს არ იხრიდა!».

თორემ რა გინდოდათ პლესოვის მწარე ხვედრით გეტქვათ საზოგადოებისათვის, რომელიც ისე ცხვირ აწმლეკით უყურებს ქართველი მწერლის ხელობას? (წაიკითხეთ ახალ გაზეთს «ივერიაში» ეს

ამდენი სამდურავები ქართველს საზოგადოებაზედ, რომელიც ღირსეულს პატივს ვერა სცემს ლიტერატორს) ისა, რომ: სამსახური ირჩიეთ, ჩინებს ხელი მოავედეთ, თორემ აი თქვენი ბოლო რა იქნება!.. ღიად, ბატონებო, მეც თქვენთან დარწმუნებული ვარ, რომ „მგოსანის“ ავტორს ეს სულელური აზრი არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ მე რომ ჩვენის საზოგადოების ლოგიკის ძალა ვიცი, რა ნაირი ახირებული დასკვნების გამოყენა იცის ნახულიდამ და წაკითხულიდამ, დარწმუნებული ვარ, რომ სწორეთ ამ დასკვნას გამოიყენდენ. უწერთენელს და გაუნათლებელს გონებას ყოველთვის მსჯელობისთვის ეს იარაღი აქვს: post hoc, ergo propter hoc! პლესოვი იმიტომ გაუბედურდა, რომ პოეტი იყო!—მორჩა და გათავდა. ამაზედ ღრმად ველარ ჩასწვდება ნორჩი ქკუა.

მოთამაშებზედ ბეერს არას ვიტყვი თ ბ მესხიემა თავით ბოლომდე ჩინებულად გაატარა პლესოვის როლი, ნამეტნავად სცენა დაუნის ხესთან და მთელი უკანასკნელი მოქმედება მშვენიერად მოუვიდა. შენი მტერი, რომ უკანასკნელს მოქმედებაში, ახალგაზრდა ქალის, ვერას როლში ქ. საფაროვისა არ გამოსულიყო და არ გაცოცხლებინა მაჟურებლები, ცუდად იყო საქმე. ბ. ნ. საბუელი პირველად ენახეთ სცენაზედ და თავის მოხდენილის თამაშობით (კომიკურს როლებში) ადვილად დაიმსახურებს საზოგადო სიმპათიას.

ოთხშაბათს, 15 იანვარს, იყო ბ. მაქსიმოვის ბენეფისი. წარმოადგინეს: გიორგინის სამ მოქმედებიანი დრამა, «ორ ცეცხლ შუა» თარგმნილი ფრანგულით ი. მანაბელისაგან; ერთი სცენა შილერის «ქაჩალებიღამა», და ოპერეტკა: „მეჯლისი იტალიანებით“. ხალხი ნაკლებად დაესწრო წარმოდგენაზედ. ეს ბენეფისი მხოლოდ მითია შესანიშნავი, რომ თვით ბ. ბენეფიციანტს, არაფერი როლი არა ჰქონდა პიესებში; ეს ბენეფისი უფრო პატარა ტასოს დარჩა (ბაზიძის ექვსის წლის ქალს, რომელიც პატარა შანას როლში გამოიყვანეს. შანა ბეერჯერ გამოდის სცენაზედ და საკმაოდაც ლაპარაკობს. პატარა ტასოს სიმკვირცხლემ და გამბედაობამ სცენაზედ სწორედ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, რისთვისაც მადლობა ტაშის კერით და კანფეტებით გადაუხადეს. ეს შესანიშნავი ბავშვი ერთ დროს საზოგადო ყურადღებას მიიპყრობს. ოპერეტკაზედ ცალკე მოვილაპარაკებთ.

დავით სოსლანი.

(წიგნი)



პერსას, 19-ს იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა «რაც გინახავს ველარ ნახავ» კომედია მ-ს მოქმედებათ თულებმა პ. საგარლისა და ერთ მოქმედებიანი ვოდევილი «ბუტიაობა» აკაკი წერეთლისა. საერთოთ რომ თვალი გადავავლოთ პ. საგარლის პიესებს ორს უმთავრეს ნაკლულოვანებას შევამჩნევთ, უჩრდილოთაც ყოველივე დრამატიულ თხზულებას თავის მნიშვნელობა და ღირსება ეკარგება. დრამატიულმა მწერალმა არ უნდა დაიფიქროს, რომ იგი ემსახურება ხელოვნებას და არა იმ ხალხის გემოვნებას, რომლებსაც თეატრი ისე აქვს წარმოდგენილი, როგორც გასართობი ადგილი და მხოლოდ იმისთვის მოდის, თეატრში იცინოს და იხარხაროს. მწერალმა ხელოვნების საშუალებით საზოგადოებას უნდა ჩაავიძლოს, რომ თეატრი არის ის საზოგადო სკოლა, რომელსაც მხედველობაში აქვს ხალხის ზნეობითი ავადმყოფობიდან განკურნა. იმის თხზულება უნდა ეთანხმებოდეს ნამდვილს ცხოვრებას, რადგანაც მწერალს თვითონ ხალხი ჰბადავს და არა მწერალი ხალხს. ბ. პ. საგარელს თეატრალური ხელოვნება ბოლოს პლანზედ მოუქცევია, მხოლოდ ხალხის გემოვნებას კი პირველი ადგილი უჭირავს იმის პიესებში და თბილისის ქუჩებში გაგონილი სიტყვებით შემდგარი ლექსიკონი მაცქერალთ სრულიად ავიწყებს, იმ ავტორის ნაკლულოვანებას, რომელიც დრამატიულს მწერალს არ მიეცემა. აი, მაგალითად ავიღოთ «რაც გინახავს ველარ ნახავ». ამ პიესაში არც ერთი ტიპი არ არის სინამდვილით დახატული. პრეციტი ვინ არის, ან რა კაცია მებატონე? თავადია, არც თავადი, სამხედროა, არც იმას წააგავს, მაშ ვინ არის? — კაცი, რომელიც უაზრო სიტყვებს ლაპარაკობს და თვითონაც არ იცის რასა შერება, ისე რომ მაცქერალი ვერაფერ მარტივს აზრს ვერ შეადგენს. ან კიდევ იმის მეგობარი ზაქარია. ბ. ავტორს ნდომია ვითომ ახალი აზრების კაცი დაეხატა, მაგრამ გამოცხებით უნდა გითხრათ, რომ მაგვარ კაცს პირველს საუკუნებშიაც შეხედებოდათ, რომ ბედნიერება გეკონოდა და მაშინ გაეჩენილიყავით. ახლა ავტორის ილიალებს და მეცხრამეტე საუკუნის კომუნისტებს მიემართათ, რომლებიც სირაჩხანის ასპარეზედ მოქმედებენ და შუალამისას ბნელა ქუჩებში ფულიან კაცებს ელიან, რომ გაცარკონ.

ბ. პ. საგარელი ისე იდიალოურად გვიხატავს თბილისის პაქარნებს, რომ უცხო კაცს რომელიც არ იცნობ უმანკოების და სენინდისიანობის შესახებ ამ საზოგადოებას უპირველესობას მისცემს, მაგრამ ვინც კი იცის იმათი ხელობა, უეჭველია ავტორს არ

მიუტყეებს ამ გვარ შეხედულობას რომელ ქალაქის კინტოს აიღებთ, რომ ქუჩადობით და ჯიბგირობით არა სცხოვრობდეს, რომელსაც თბილისის ციხეები გვიმტკიცებენ, რომ მხოლოდ იმითი არიან საესენი. რაიც შეეხება სომეხს ავეტიქას, გულწრფელად უნდა ვსთქოთ, რომ სინამდვილით და სისრულით არის დახატული ეს ტიპი, რომლის ხასიათი სრულიად ეთანხმება იმის მდგომარეობას. რაიც შეეხება აზრს და კომედიის აშენებას სწორედ რომ მოუაზრებელია, აზრს ბ. პ. საგარლის პიესებში სრულიად ადგილი არ აქვს და ბ. ავტორი სრულიად უმნიშვნელოთა სთვლის იმ საგანს, რომელიც აუცილებელს საგანს შეადგენს. ერთი სიტყვით მაცქერალს მოსწონს იმის პიესები, როგორც სამახარაო გასართობი და ლიტერატურულს ღირსებებს კი სრულიად მოკლებული არიან. მაცქერალთ მოსწონს ბ. პ. საგარლის ლექსიკონი, რომელიც თბილისის ქუჩებშია გაგონილი და არა ხელოვნება და აზრი. პრეციტილიან არ მოეგონათ ბ. ავტორს, სად გაუგონია, ან სად უნახავს ესეთი მშვიდარა იმერელი, როგორსაც ისა ხატავს. იქამდის მიდის იმის სისუსტე, რომ თავის ჩრდილისა ეშინიან; ეს ჩვენის აზრით დიდი შეცდომილებაა, რადგანაც გულადობაში \* იმერელი ქართულს არ ჩამორჩება: ან კიდევ ის სულელური გალუცინაცია, როდესაც იმერელი სკამს ელაპარაკება, სრულიად სინამდვილეს მოკლებულია; ეს მახინჯი სცენა სრულიად ამახინჯებს, მახინჯს პიესას.

რაიცა აკაკის „ბუტიაობას“ შეეხება, მხოლოდ იმის მჭევრმეტყველს კუყას შეეძლო დაეხატა ამ გვარი მარტილიანი ხუმრობა, რომელიც სინამდვილესაც არ არის დაშორებული (უდახოე ოსტროუმე). ჰველა სცენა შემთხვევით ხდება და ხელოვნურად არის დახატული; ერთი სიტყვით ყველასფრით სრულია ეს ვოდევილი და ამ ვოდევილის მოსმენა თავის დღეში არ მოსწყინდებათ მაცქერალთ.

რაიცა მოთამაშეთ შეეხება ყველამ სენინდისიანთ შეასრულეს თავის როლები, განსაკუთრებით მ. საფაროვი-აბაშიძისამ, ნ. ბაბუნიაშვილს და მ. აბაშიძემ, მაგრამ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ ბ. ნ. საბუელს, რომელიც ყველა სიტყვის შემდეგ ზმუკუნებს და სრულიათ იკარგება ის ეფექტი, რომლის დახატვაც ნათლად შეუძლიან ბ. მსახიობს, მაგრამ ამ სენის გამო სრულიად იკარგება სცენიკური ილუზია. ერთი სიტყვით მოკლედ უნდა ვსთქოთ, რომ ამ უკანასკნელმა წარმოდგენამ მეტად მხიარულად ჩაიარა, თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო. მაგრამ გასამტყუნარნიც არ არიან, რად-



განაც ჩვენს იგრაჟიკო ნარჩევთ ლიტერატორებს განუძრახავთ «ივერიის» საშუალებით საქართველოს პოლიტიკა და არხეოლოგია აღადგინონ. ბარდა ყაღისა და მირხეებისა, სხვა გარეშე პირთ აღკრძალული აქეთ, ამ მაღალი დისტანციამდის მისვლა, რადგანაც შეიძლება დაუშალონ იმათ ფილოსოფიურს მსჯელობას; მერე ხუმრობა ხომ არ არის, მთელი ხალხის ბედი და უბედობა იმათზე დამოკიდებული. ესე ჩემო, ბატონებო, იმათ მაგიერ ჩვენ ვიხდით ბოდიშს, რადგანაც იმათ იმოდონი დრო არ აქეთ და არც ყურს უგდებენ მაგისტანა წერიმალს საქმეებს.

ი. კაკოელი.

საახალწლო

ახალ წელსა მოგილოცავ  
ჩემო კარგო, ჩემო გვირგვინო,  
მისურვებ, რომ ახლა მაინც  
ჩემთვის ტრფობა გაიმეტო.

რათა მწუნობ, მე არ მესმის!  
არ მაქვს განა ჯანი მთელი?  
ან მაკლია გულში ცეცხლი  
მაქცაეთა მამშენებელი?

ჩემო ციკუნ, ჩემო კიკუნ!  
შენთვის ვკვდები, ვკვდები, ვკვდები,  
მხოლოდ შენა, ჩემო სულო  
ჩემს გულს წამლად დაედები.

სატრფოვ, რა ექნა, რად მიყურებ  
მაგრე ცივად, ექვის თვალით?  
რა არ მოგწონს ჩემში მითხარ,  
რომ მოეთხარო ნესტრის დანით.

—ჩემო ყველაე, ჩემო გიჟო,  
შენ გაქვს მხოლოდ ერთი წუნი:  
მაგ დიდ სულთან, დიდსა გულთან  
შენ არა გაქვს დიდი ფული.

მე კი ახალი ქალი ვარ,  
მიყვარს მოდა, მიყვარს ფული  
მდიდარს მახინჯს გამჯობინებ,  
თუნდ რომ დამეტანჯოს სული.

რუსულის და უცხო სამღერეის გაგრაქვლების გამო

რაც ჩვენ დედა-ქალაქში ოპერა შემოიღეს, ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებას სხვა-და-სხვა სიამოვნება შეხვდა. რუსულმა ოპერებმა, კონცერტებმა, იტალიურმა ოპერებმა და კონცერტებმა და არა ნაკლებ იმ გარემოებამაც, რომ სახელმწიფო სასწავლებლებში ჩვენებურ ყმაწვილებს რუსულ სიმღერებს ასწავლიან, დიდად შეეჩია ხალხი გალობას და სიმღერას. მაგალითებისთვის შორს არ წავალ, ყველა ჩვენგანი ЖИЛЬ БЫЛЪ У БАБУШКИ СЪРЕНЬКІЙ КОЗЛИКЪ-ს ან და ВНИЗЪ ПО МАТУШКЪ ПО ВОЛГЪ-ს უფრო იმღერის, ვიდრე ჩვენ საერო სიმღერებს. ხელოვნურ სიმღერებზედაც იგივე ითქმის რუსული სახალხო სიმღერები სახელმწიფო სკოლებს აღარ ცილდებიან, მაგრამ ხელოვნური სიმღერები კი საოცრად ვრცელდებიან, როგორც ოჯახებში, ისე ნასწავლ ყმაწვილობაშიაც. ვრცელდება თარგმნილი კი არა, როგორც რუსეთში მეროპული სიმღერებ, თვითონ ორიგინალად, სახის შეუცვლელად. მს ხელოვნური სიმღერები და სხვა-და-სხვა ოპერების ნაწყვეტებო ქართულათ თარგმნით, მუსიკის შეუშლელად, რომ ვრცელდებოდნ ჩვენ საზოგადოებაში კარგი იქმნება; ამით ჩვენ ხალხში, ამ განვრცელებასთანვე, კილას თავის სიტყვით გამოთქმულს, თავის მუსიკის სამფლობელოში ათას ნაირად შეხამებს თავის საკუთარ კილოებს და ამ ნაირი დამუშავებით, ადგილობრივს მუსიკას განავითარებს.

ჩვენი ახალგაზდა პოეტები რომ დათარგმნიდნ იმ ხელოვნურ რუსულ სიმღერებს, რომელთაც დღეს მღერაინ ჩვენ საზოგადოებაში დიდ სამსახურს გაუწევნ აქაურს ხელოვნებას. არც ერთი რედაქციონი მათი დაბეჭდვის უარს არ იტყვის. მხოლოდ საჭიროა თარგმანს ორიგინალის სათაურიც ჰქონდეს რომ მკითხველს უცებ გაახსენდეს კილო. ამ გვარად არა თუ რუსულ ხელოვნურ სიმღერებს, არამედ ყველა უცხო სიმღერებს უნდა მოვემკაროთ. ორიგინალი ტაჟის მარცვალითა რადენობა თარგმანშიაც უნდა იქმნეს დაცული, რომ მუსიკა არ დაიკარგოს; თუ თარგმნილი სამღერალი ლექსი ამასთანავე გაირითმება ამას რალა ემჯობინება.

მითი ამ გვარ ლექსთაგანი აქვე მომყავს. თარგმნილია ბ. სილოვანისაგან. რუსულად მგონია ასე იწყება: Мѣсяць плыветь...

\* \*

მტრედის ფერ ცაზე მიჰსკურავს მთვარე,  
მე ჩანგს ვამღერებ ტრფობით დაგული.



ჭურს მიგდებს მხოლოდ მე არე-მარე  
და სატრფო ჩემი სული და გული.

\*  
\* \*

შენ სარკმელს ქვეშ ვდგავარ, გიქქერ  
და შენი ცქერით ვტკბები;  
საყვარელო გეტრფო, გიმღერ,  
შენ სახელს ვენაცვლები.

\*  
\* \*

ისმინე ყვავილო ნაზო,  
ჩანგისა ტკბილი ჟღერა!  
ისმინე გვრიტო ლამაზო,  
ჩემი გულისა ძგერა!

მკითხველიც დანახავს, რომ ეს ლექსი ძლიერ  
ხელოვნურად არი ნათარგმნი. მუსიკა და რითმი ორი-  
ვეა დაცული. რადგანაც მუსიკის გავლენა მიუცილე-  
ბელი ყოფილა, ის არა ჰსჯობია, ჩვენებური სახით,  
კარგის ლექსით შემოხილი შევიძინოთ უცხოეთის  
და რუსეთის მუსიკური საუნჯე.

**ბ. მირიანაშვილა.**

ზარევი

1886

**ბიბლიოგრაფიული უმნიშვნა**

«ნობათი»

სა-ყოველ-წლიურა სურათოვანი საყმაწვილო უურნალო

(დასასრული \*)

ქავი.

(ხალხური ბალადა პ. კვიციანიძისა)

**II**

ამ ბალადას, რომ თვალი გადავავლოთ ერთს  
ნამდვილს მოვლენას დაინახავთ, რომელსაც დღესაც  
ყოველს ნაბიჯზედა ვხედავთ ჩვენს უმცარს საზოგა-  
დოებაში. ეს განხლავს ცრუ მორწმუნეობა სხვა-და-  
სხვა მაცდურებებზედ. რამოდონათაც ეს მოვლენა  
სინამდვილეს მოკლებულია, იმოდენათვე მართალია  
ხალხისა შეხედულობა სხვა-და-სხვა მაცდურებებზედ.  
აზრი და შეხედულობა სრულიად ნათლად არიან და-  
ხატულნი ამ ბალადაში, მაგრამ ორს ნაკლებოვნებასა  
ვხედავთ, ესე იგი, ეს ავტორი მოკლებულია პოე-

ტიურს ხელოვნებას და ძალ-და-ძალობით ნაწვალეობა  
რითმების წყობილება; მოკლეთ რომ ესთქვათ «სა-  
ლათ ჰოეტოპს», თუმც ჩვენის აზრით უკეთესი იქნე-  
ბოდა, რომ პროზით ეწერა და ტყუილ უბრალოთ  
ამოდონა დრო არ დაეკარგა რითმების სწორებით.  
ბ. მგოსანი რითმას აზრსა სწირავს და ეს ჩვენის  
აზრით დიდი წეცდომილებაა.

(ბესო ოსური ლეგენდა ანასტ. მირისთავისა)  
მანდილოსნის მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზ-  
ზედ, ისიც ჩვენს ქვეყანაში, მეტად დიდათ და დიდათ  
სასიამოვნო მოვლენაა, მით უფრო, რომ ჩვენს ლი-  
ტერატორებს უკულმა აქეთ მომართული ჰკუის სიმე-  
ბი და როგორც მგელი კრავს ისე უყურებენ ერთმა-  
ნერთს. მით უფრო საყურადღებოა ანასტ. მირისთა-  
ვის მოღვაწეობა, რომ ყველას მხრივ დაკმაყოფილე-  
ბულია იმის საყმაწვილო სტატია. რომელ მხარეს  
აიღებთ რომ სრული არ იყოს: იღვია, სინამდვილე,  
ხელოვნება სამაგალითო და ენა სრულიად ეთანხმება  
თავის პედაგოგიურს დანიშნულებას. ლმერთმა ქნას,  
რომ ჩვენმა „ქარაფშუტა“ ახალ-გაზდა ქალებმაც ამ  
გვარი პირებისაგან მაგალითი აიღონ და პედაგოგიურს  
საქმესაც ხელი მოჰკიდონ; მგონია, რომ საკმარისია  
მიჯნურობაზედ ბასი.

(პაკაბაძე. შაჰი აბასის საქართველოში შემოსე-  
ლის დროიდან. პ. ახნაზაროვისა). საერთოთ ამ პა-  
ტარა ავტორზედ შეგვიძლიან ესთქვათ, რომ ნიჭიერე-  
ბა ეტყობა პროზის წერისა, რომელიც «პაკაბაძე»-ს  
შეუძლიან გვიმოწმოს, თუმცა როგორც ეტყობა გო-  
ნებითი განვითარებით კი ჯერ შორს ვერ წასულა.  
თუმცა მკირედი სტატია უფლებას არ გვაძლევს  
რამე მარტივი აზრი შევადგინოთ, მაგრამ მიინცა-და-  
მიინც ეტყობა, რომ ბუნებითი ნიჭს მოკლებული არ  
არის და თუ ამასთან გრძნობას არ გაჰყვა, არ გაერ-  
თო და გონება გაიხსნა, უეჭველია თავის დროზედ  
მიახწევს თავის განძრახვას და პატოხსანი კაცის და-  
ნიშნულებას. კიდევ გაუმეორებთ, ბ. ახნაზაროვს,  
რომ ურიგო არ იქნება, რომ ჯერ ხანობით წერას  
თავი დაანებოს და ჰკუის საზრდოს მასალა შეიძი-  
ნოს, რომელიც ბოლოს უფრო კანონიერს ნაყოფს  
მოუტანს.

(სამი ძმა. ლეონ ძლაღლის მოთხრობა, ფრან-  
გულიდან, მაროსი). ეს მოთხრობა ლეონ ძლაღე-  
ლის კალამს ეკუთვნის და უფლებაც არა გვაქვს ამ  
შემთხვევაში ეჭვი შევიტანოთ, რომ რაიმე სინამდვი-  
ლეს იმის მოთხრობა მოკლებული იყოს. ამ მოკლე  
საყმაწვილო სტატიაში სრულიად დაცულნი არიან  
ორივე უმთავრესი პედაგოგიური კანონი, რომელზედ

\*) იხილე «თეატრი» № 2.



ბავშვი უნდა აიზარდოს, (ინდუქცია ი დედუქცია), ესე იგი, ახლოდგან შორს საგნებზედ გადასვლა, გაცნობილიდგან—გაუცნობელში; მხოლოდ აქ პედაგოგის აუცილებელს საქიროებას შეადგენს ცოდნა იმ კანონისა, რომ აწონით, ბავშვის ბუნებისამებრ. აი ამ მოთხრობაში თქვენ შეხედვით ყოველივე ამ პედგოგიურს კანონებს დაცულთ და მშვენიერს სურათებს; ყოველივე ამას რომ ზედ დაუმატოთ ნიჭიერი მთარგმნელი (მარო), რომელსაც სრულიად ჩვენის ბავშვების ხასიათზედ დაუყენებია—მშვენიერი ცოცხალი და კაფიეთი ენა, ერთი სიტყვით ეს სტატია ყველასფრით სრული და საესეა.

(წყალი და მისი თვისებანი პლ. მირიანაშვილისა) ამ ფილოსოფიურს ტრაკტატზედ არას ვიტყვით, რადგანაც სრულიად უადგილოა ამის ამ ყურნალში დაბეჭდა. ნუ თუ შესაძლებელია ათის წლის ბავშვის გონებისათვის არქიმედის თეორიის შეთვისება? ჩვენის აზრით სრულიად უადგილოა ამ გვარი სტატიების ბეჭდა.

ო. კაკოელი.



## უე ლ ტ ი ნ ი

\* \* \*

ძიუვარსხრ, აღაზნის სეკო,  
ძინდვრისნო და ტუიანო;  
ბატედ შეკრულა მთებიათ,  
ყედი-ყედ ჭალეობიანო.  
გამოკად დიდობითა,  
თვალნ შესეე დამრეხებანო:

ჩამოუთოვლავ ქედები;  
დაბლა ტყე, მთების ძირები  
სრულ ნისლეებს დაუჭკრია  
გადმა აღაზნის ჰირები,  
სისხლის წღვასით გამოჭკრეტს

მზე ყინვით ანატირები  
სამეაროს რთვილი დაუდვავ;  
ძინდვრები აოსრდებანს;  
ბაღახი მიწას გაერთვის,  
სეკბა გამოშვლადები ს.

წავა, გაივლის ზამთარი  
ისევეც აწვაკლებიან.

ენსავეთ, რა ჩირთი შემოჩნდეს,  
ხეე-სეეში ზეგაი სოფდეს;  
მინდარი ამწვანებული,  
ათას ნაირად დუოდეს;  
მდინარე ადიდებული,  
აქაფებული დმოდეს.  
შემოჭკიჭკიკებს მერცხადი,  
მერცხადს მოჭეება გუგული,  
ისრიავეც გაიფურცლება  
ბართაშვილის სუმბული;  
ოა, ესმელა მოგვივლენ,  
ვარდსედ დაჭახებს ბუღბული!  
ბუნება აცვამს და ჭცარცვავს  
ყველას დროს შესაფურცლად:  
ხან ააყვავებს მთა-ბარსა,  
ხან დაჭლევს ისეე მტკვარდა;  
ასლას თოვლისას ჩაინდამს,  
ყინულს დაიდგამს კვარდა.  
ზამთარო, მოდი და ყველას  
დააჭკიე, ფერი უცვალე!  
მომამაგდა ერთ-სასეობა,  
რთვილი ქარ-ბუქით შეცვალე;  
ადუღებული გუნება  
ყინვის სახმილით გამსჭვალე.

ბახინა.

## ნაზრახნი ადგილი

(დასასრული \*)

საბრბლო იყო ღარეჯანას მდგომარეობა. იგი ეხლა დარწმუნდა თავის დანაშაულობაში. რა ეშმაკმა მომიქცია მხარი, ფიქრობდა იგი, რომ მე ამ მხელს მივეცი ღესპინე. მაი, შეილო ღესპინე! როგორ გაიყინები შენი პაწაწა სიმონითა. შეილო, შეილო! რას გემართლებოდი?.. ღმერთო! შეხი რატომ არ მოსტყებ მოვიას? რატომ არ დაუღუნე ენა! როგორ შამომეტყუა, თქვენი ჰირიმე! ნეტავი მაინც არ მოსულიყო იქილამ ცოცხალი!.. რა ჩემმა ცოდვამ მოიყვანა ეგ არამზადა? ნეტავი რით ეშველება ჩემ ღესპინეს?.. რატომ იქ არ მოკვდა ეგ შეფ-ღლიანი ჩემის ცოდვით? რას გემართლება ამ ჩემ სახლში. ოხ,

\*) იხილე „თეატრი“ № 3.



ღმერთო დამბადებელო! მაგას ნუ გაუთენებ ხელანდელ დღეს! ნეტავ გზაზე მიინც შამოკდომოდა ვისმეს იმ მადლიანს... ამ მოფიქრებამდი, რომ მიღწია ღარეჯანას თავში გაიგელა ბოროტმა აზრმა. შეიძლება ამ ოთხმოცის წლის ქალს პირველად გავტარების თავში საზარელი ბოროტ-მოქმედება. მან მიაპყიტა ჩაღრმავებული თვალები კედელს, სადაც ახლად გაღვსილი ცული ლაპ-ლაპებდა სარკესავით. იაკოფი ამ დროს გულის ძილში იყო. ღარეჯანამ განიზრახა ამ ცულით იაკოფის ბოლოს მოღება. იგი კიდევ წამოდგა და გაეშურა კედლისაკენ, მაგრამ მუხლები ჩაეცცა და ხელები არ დაემორჩილენ ცულის ჩამოსაღებად. ღარეჯანამ მიიფარა თვალებზე ხელი და მის მოხუც დამკნარ ლოყაზე ჩამოცურდა წვეთი ცრემლისა; ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და შემდეგ ცრემლი გარდმოეშვა წარიალით. ღიად! ღარეჯანა სტიროდა, მაგრამ ეს ტირილი სრულებით არ იყო წარმომადგარი სინანულისაგან. ის იყო ნამყოფი მეტის მეტი ჯიბრისა. იგი სტიროდა თავის უძლეურობაზე. ღარეჯანა გამოვიდა გარეთ, ჩუმად შეუარა გვერდი ღვსინეს, აკვანს და გაეშურა სოფლისაკენ. მარი მძინებარებდა. მთვარე ანათებდა. ღარეჯანა სოფლის ორღობეში მიეშურებოდა.

არ გაუგელა ნახევარ საათს შემდეგ ღარეჯანის წასვლისა, დერეფანში ფეხი შემოსდგა ბიორგომ. მან გარდაელო თვალი იატაკზე საცოდავად დაგდებულ ღვსინეს და აკვანს, რომელსაც ქარი თავისებურად არწევდა. ამ სურათის დანახვით, ბიორგის რაღაცამ უეცრად თვალებში ჩაუელვა და მთელ ტანში ჯრუანტელმა დაურბინა. იგი დაუყონებლივ შეეარდა სახლში. ჩამოდენიმე წნის შემდეგ სახლიდან გამოისპა საზარელი კვილი ძალად მოკლულისა.

მეორე დღეს დილა ადრე მამასახლისი გაჩნდა მკვლევლობის ადგილზე. მან უმალდეს მთავრობასაც გააგებინა ეს შემთხვევა. შეიყარეს თავი. მკვი რასაკვირველია შინაურებზე იყო. პითხებზე გამოძიებელს ბებია ღარეჯანამ არავითარი პასუხი არ მისცა. ხოლო ღვსინე ყოველ კითხვაზე: «არ ვიცის» იძახდა. სოფლელები მღელვარებდნენ და გაიძახოდნენ: «ეგ კუდიანი ღარეჯანას საქმეა!» ამ დროს გამოძიებელთან მოვიდა ბიორგი და მოახსენა:

— მკვლევლობა მე ჩავიდინე, მაგათ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. რაც შეეხება მიზეზებს ამას თქვენ არ მოგახსენებთ.

საქმე გამოაშკარავდა. გამოძიებელმა ღარეჯანას

და ღვსინეს თავი დაანება: არ იცნო იგინი დამნაშავედ, იგი კმაყოფილდებოდა მარტოკა ბიორგით. მაგრამ გამოჩნდა ავი ენა, რომელსაც იმ ღამეს დაენახა ღარეჯანა ბიორგისთან მიმავალი. ამის გამო გამოძიებელმა ქალებს ისევ მოუჭირა ხელი, იცნო იგინიც დამნაშავედ და ყველანი წასხა ციხეში; აღარც პაწაწა სიმონიკა დაუტოვებიათ, ეინაიდგან სახლში აღარავინ რჩებოდა. იმავე გამოძიებელმა გამოკეტა სახლის კარები და მიბეჭდა ღამით.

188... წელსა, შუა მარტში, შუთაისის ოლქის სასამართლო ივსებოდა ხალხით, ზოგი კარებებთან მოგროვილიყვენ, ზოგი ფანჯარებს მისეოდნენ. სისხლის სამართლის ზალა გამოტენილი იყო მაყურებლებით. ღვსინე ირჩეოდა ძნელი საქმე «ქმარის მკვლელობა». დამნაშავენი სკამზე ისხდნენ ორი: ერთი ქალი და ერთი კაცა. მკითხველი რასაკერვლია ამათ ორთავეს იცნობს; კაცი განლაგეს ბიორგი და ქალი ღვსინე. საბრალო ღვსინე! ისევე ბიორგი სჯობდა, უფრო მარჯვეთ იყო. იმას უფრო არ დაშინეოდა ბეჭედი ტუსალობისა. ღვსინე გათავებულყო. მას ადამიანის სახე აღარ ჰქონდა. იგი თითქმის მიცვლებულს ჰგავდა, ისე დამკნარი იყო: თვალები ჩაღმავებოდა, ცხვირა მეტის-მეტად გაწვრილებოდა, ნიკაპი წინ წამოწეოდა. მათი სიტყვით მისი სურათი წარმოდგენდა ადამიანის ფხას, თაფლის სანთელში ამოვლებულს. იგი საცოდავად არბენდა საგნიდამ საგანზე თავის ჩაღრმავებულს, ერთხელ მშვენიერს, თვალებს; ხან წითელ სტოლს მიაცქერდებოდა, ხან მთარგმნელს, ხან ხალხს. მისი გამოხედვა იყო გამოხედვა უგნურისა, ჭკვაზე შემოლილისა. მას ეითომ ფიქრი უნდოდა, მაგრამ ტენი არ ემორჩილებოდა. ამისათვის პირველივე შეხედვით შეატყობდით, რომ მას უყვირდა თავის მდგომარეობა. შამოვიდნენ მსაჯულეები, მათ შემოჰყვათ მდივანიც და დაიჭირეს ალაგი. ამათმა შამოსელამ სულ გააოცა საბრალო ღვსინე, იგი გაშეშდა სკამზე. მელარც წამოდგა, თუმცაღა მთარგმნელმა ორჯერ უთხრა ამდგარიყო მსაჯულეების გამოსვლაზე. თავისმჯდომარემ ჩვეულებისამებრ ჰკითხა მთარგმნელს.

— დამნაშავენი ხომ ყველანი აქ არიან?

— აქ განლაგან გარდა ღარეჯანა დედა ბერისა, რომელიც სატუსალოში გარდაცვლილა. ამას გარდა მომკვდარა ამ ქალის პატარა ბავშვიც სვიმონი, უპასუხა მან.



— ააყენეთ ქალი! დასძინა თავმჯდომარემ. დესპინე წამოაყენეს.

— სცნობ შენს თავის დამნაშავეთ თუ არა? ჰკითხეს მას.

— არ ვიცი? წაილულულა საცოდავად დესპინემ.

— შენ მოჰკალი შენი ქმარი თუ არა? ბანუშეორეს მას კითხვა.

— არ ვიცი.

— შენ სად იყავი იმ ღამეს?

— არ ვიცი!

ჰოველს კითხვაზე დესპინე ამის მეტ პასუხს არ აძლევდა, მსაჯულეებმა გაიღიმეს. უგნურ ხალხშიაც ნელი სიცილი ატყდა. მხოლოდ როდესაც ყველანი დაწყნარდნენ ზალაში გაისმა გაჯაერებული ბიორგის კბილის დრჰენა. რა უნდა ექნა საბრალოს? თავს ზევით ღონე არ ჰქონდა. თავმჯდომარემ ნება მისცა დესპინეს დაეჯდარიყო. წამოაყენეს ბიორგი, რომელსაც იმავე კითხვით მიმართეს:

— სცნობ დამნაშავეთ თავს თუ არა?

— ღიად! მე მოგკალი! უპასუხა მან.

— თქვენ გკითხავენ, სცნობთ დამნაშავეთ თავს თუ არა?

— მე მოგკალი! ბანიშეორა მან.

— მისმა ცოლმა მიიღო მონაწილეობა თუ არა?

— არავითარი.

— მინ გეხმარებოდა ამ საქმეში?

— თქვე დალოცვილებო! რა საჭიროა ამოდენი კითხვები? მინ მომეხმარებოდა, ან რა მომხმარე მინდოდა? მე მოგახსენეთ და გავათავი: ამ ქალის ქმარი მოკალი მე. მიზეზს თუ იკითხავთ შემდეგი გახლავს: მე და ამას გვიყვარდა ერთმანერთი, იმან მომტაცა და ჯვარი დაიწერა ძალით, მოტყუებით, და ამიტომაც მე მოგკალი იგი. ამ ქალის ცოდვაც მე მქონდეს და იმ მოკლული კაცისაც, თუ ამას სცოდნებოდეს რამე. სირცხვილი არ არის, ასე უბრალოდ აღამიანის წამება?

— ზრდილობიანად მოიქეცი, აგრე ნუ ლაპარაკობთ თორემ დაისჯები შენიშნა თავმჯდომარემ.

— მეტი დასჯა განა შეიძლება, ერთს თხას ორჯერ არ ტყვეებენ, მე მოგახსენებთ, რომ ამას ბრალი არა აქვს, ტყვილა ნუ სტანჯავთ.

— შენ ილაპარაკე მარტო შენს თავზე, შენიშნეს მეორედ.

— ჩემს თავზე მე საკმაოთ მოგახსენეთ. ამ სიტყვებით ბიორგი დაჯდა და აღარც ამდგარა, თუმ-

ცა ბევრჯერ უბრძანეს ამდგარიყო, მაგრამ მისმა გიუტობამ აჯობა.

ღიდი საჭირო არ არის მოვიყვანოთ აქ დანარჩენი მოწმეების ჩვენებები. ჰველა მოწმეებში შესანიშნავი მხოლოდ ბოგია იყო. ჩვენგან ცნობილი ბოგია—მამა იაკოფისა. აი დაახლოვებით იმის ჩვენება.

— მე თქვენი ჰირიმე, ამ საქმის შესახებ ბევრი არა ვიცი-რა. დავილუბე კაცი, ამოვარდი. მაგ შეჩვენებულმა მომიკლა სამეფო შეილი, ჩემი ლუქმის მკმეველი. თავიდანვე ვიცოდი, რომ შეჩვენებული ღარეჯანას მოყვრობა მე არ გამომადგებოდა. ის ცოდვით იყო გატენილი ყელთამდე. პულიანი იყო, თქვენი ჰირიმე! ჰოველი უბედურობის მიზეზი ის იყო. შამამიხნდა: «მანცა და მინც ჩემი შეილი-შეილი შერთე შენს იაკოფსო!» მე პირველად ვერიდებოდი, მაგრამ დღეს, ხვალ, ზევ და ბოლოს ჩემმა ეშმაკმა მომიქცია მხარი, მერმე იმ სულ წაწყვიდილს პატარა ფული და მამულიც ქონდა. არ მინდოდა, ღმერთო ხო შენ იცი! ბამახვიეს ამ ბოროტ საქმეში; წამწყვიდეს სულითაც და ხორცილაც, მომიკლეს ისეთი შეილი... და სხვა ამ გვარებს ცისას და ბრისას ბოდავდა ბოგია. მსაჯულეებმა და თავმჯდომარემ მისცეს, რამოდენიმე კითხვები, რომლებზედაც ბოგია ასეთ-სავე პასუხს აძლევდა. უკანასკნელად თავმჯდომარემ მიმართა ბიორგის:

— შენ რას იტყვი ამ მოწმის ჩვენებაზე.

— ჰველაფერს მართალს მოგახსენებსო. უპასუხა ბიორგიმ და არ განძრეულა სკამიდან.

რალა ბევრი გაეავრძელოთ. მასამართლების მწვერები გავიდნენ ზალიდან და მცირედ ხანს იქით განაჩენიც გამოიტანეს: თორმეტის წლის კატორლა და საუკუნო ციმბირი ბიორგის მიუნიტეს, ათის წლის კატორლა და საუკუნო ციმბირი დესპინეს.

— მადლობა ღმერთს! წაილულულა ბიორგიმ, მართალთან მეც დივისაჯო.

#### ბრალადი

სოფელს ზემო-არგვეთში ერთს პატარა გზა წვრილს გადმოჩერებია ფიცრული, კარგათ ვრცელი სახლი. ამ სახლს ღობე დასძველებია და ჰიშკარიც წაქცევია. მთელი ეზო გარდაფარულა კაცის სიმაღლე ანწლით და არც ერთი გზა წვრილი არ მიდის სახლისაკენ, არც გამოდის იქიდან. ბევრს რამეს ამბობენ ამ სახლზე ზემო-არგვეთელები. მოგახსენებენ, რომ მამი ბევრი უცნაური მკვლელობა მომხდარა. (თითქმის ათამდე ჩამოსთელიან), რომ წელიწადში



სამჯერ აქ შეიყრებიან ყველა ქვეყნის კუდიანები, და ჩონგურზე ფერხულს დააბმნო. ისეთი პირებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც ღამით წასწრებიან კუდიანების ღონის და რამოდენიმე დღე-ღამე კიდევ უცვნიათ კუდიანებში არეული. მოგახსენებენ კიდევ, რომ ამ სახლში კერიის ადგილს ამოჩახახებებს სისხლის წყარო, რომლითაც კუდიანები წყურვილს იკლავენ. ეს წყარო ვითომ მოაღწევს საძირკელამდე და მერმე ვარდება მიწაში. შიგ ვერაინ შედის, რადგანაც კარები დაბეჭდილია. ეს გახლავთ ბებია ღარეჯანას სახლი, მართლა მიბეჭდილი ხუთი—ექვსი წლის წინად და მიყრუებული, ესლა ქარის ადგილად გარდაქცეული. სოფელი ამ არე-მარეს უწოდებს „ნაზრახ ადგილად“ და ყოველი კაცი სცილილობს ასცილდეს ამ ადგილთან ღამე გავლას. მხოლოდ ამ სახლთან თვეში ერთხელ გაივლის ხოლმე ერთი მოხუცებული, მთლად გათეთრებული, წელში გარდაღუნული კაცი. ზაივლის, გულზე ხელს დაიბრაგუნებს და იტყვის: „ვაიმე! რა ადგილი დამძვრა ხელიდამ და რა შეილი მომიკლეს!“ ეს გახლავს ჩვენი ზოგია.

#### რ. ალისუბნეჯი

### თეატრი და მსახიობნი

იკელი, საშუალო და სახლი დროისა.

(დასასრული \*)

სამინელი იყო მაშინდელი თანამედროვე მსახიობის ცხოვრება, მეტადრე იმათი, რომელნიც სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობდნენ; მით უფრო შესაბრალოსი იყვნენ ისპანიელი მსახიობნი, რომელნიც მშვიდ მწყურვალნი, შიშველ-ტიტველნი ქალაქის ქუჩებში დაიარებოდნენ და ზოგჯერ ისე მოხდებოდა ხოლმე, რომ ყინვა, სიცივეში ღამე კარში რჩებოდნენ, ღვთის სინაბარა. აგუგუსტინა-დე-ლა როკი შემდეგ საყურადღებო ამბავს მოგვითხრობს, (გასართობს მოგზაურობაში) რიოს მალენციიდან უპლაშჩოთ დაბრუნების შესახებ, რომელსაც თავის მეგობარი აცილებდა; პირველი ამ ნაირად ემდურება თავის ბელს: „მეტის-მეტე უბედურება გვეწვია, მე და ჩემს მეგობარს, როდესაც იმ სიმძიმე ბარგის ტარება ზურგით სატარებელი გავვიხდა, თუმც ერთი მადლიანი კაცი შეგვხე-

და, რომელმაც მცირედი მანძილი გაატარა, მაგრამ ბოლოს იმანაც თავი დაგვანება და დაერჩით უნუგე-შოთ. საღამოს ჟამს, დაღალულ-დაქანცულლები, ერთს პატარა ქალაქში შემოვედით და დასადგომი ბინა ესთხოვეთ, მაგრამ უარი გვეთხრეს და ზედაც დაუმატეს, რომ ამ ქალაქში ბინას ვერსად ვიშოვით, რადგანაც უქმეაო; მით უფრო სამწუხარო იყო ჩვენი მდგომარეობა, რომ ჯიბეში სულ რვა სუ გვექონდა. მრთი უკანასკნელი საშუალება-ლა გერჩებოდა, მოტყუებით გვეშოვნა ბინა, საღაც ღამე ვაგვეტარებინა. სასტუმროში წაველი და უთხარი, რომ ვაქარი ვარ და ზღვით სავაქროს მოველი, (მართლაც და ცოტა არ იყო წავაგვანდი კიდევ ვაქარსა). მოესთხოვე ოთახი და ვახშამი, შემდეგ წავედი და ალკადს გამოუტყაღე ტრუპის ქალაქში მოსვლა, მე და ჩემს მეგობარს წარმოადგენა გამართეთ და შემდეგ სასტუმროში დაებრუნდით; სასტუმროს პატრონს ოთახის გასაღები მოესთხოვე და გამოუტყაღე, რომ სავაქრო მომივიდა და მინდა ოთახში დავაწყო მეთქი. შევედით, ოთახიდან ბარგი გამოვიტანეთ და როგორათაც ქარი ისეთის სიძარდით გაუდღეკით გზასა. ოქვენ წარმოიდგინეთ ჩვენი შიში და მოტყუებული სასტუმროს პატრონი, მაგრამ ვაქირება რას არ აქნევენებს კაცსა. მიზინეთ, და ვინ იცის რამდონი მინდორი და წერიმლიანი ტყეები ვავეირბინეთ; ბოლოს როდესაც დაერწმუნდით რომ შიში აღარსაიდგან მოგველოდა, დავისვენეთ და ჩვენი ქონება დავთვალეთ, გამოჩნდა, რომ სულ სამ ნახევარი რეალი გვექონდა.»

მეორე ქალაქში რიოსმა და სალონმა წარმოადგენა გამართეს და „ძანი და აბელი“ ითამაშეს, მაგრამ ისე უხეიროთ მორთეს სცენა, რომ მაცქერალებზედ ცული შთაბეჭდილება იქონია, რადგანაც გამოპარვის დროს დიკორაცია იქ დარჩათ: ყველა ამას, რომ ზედ დაუმატოთ ის გარემოება, როდესაც ძანი აბელსა ჰკლავს, მსახიობი მივარდა მოსაკლავად, მაგრამ მხოლოდ მაშინ მოაგონდა, რომ დანა სასტუმროში დარჩა და გაშტერებულმა მხოლოდ ერთმანეთს ყურება დაუწყეს და უმოძრაიონი დარჩნენ. მაცქერალნი გაჯაერდნენ, დაერივნენ საბრალო მსახიობთ და სულ ცემა ტყეპით გამოარეკეს თეატრიდან. საბრალონი, გულის ფეთქებით გამოიქცნენ და ყველაფერი ბარგეულება იქ დარჩათ, მხოლოდ ხუთი რეალი-ლა შერჩათ ხელში. მსე ამ ნაირათ ტანჯვით ატარებდნენ თავიანთ ცხოვრებას და მადრიელი კი არაინა ჰყვანდათ. აი, ამ ნაირი იყო მოგზაური მსახიობთა ბედი. მადრიდში, სევილიაში და ტოლედში მსახიობ-

\*) იხილე „თეატრი“ 1885 წ. № 18.




ნი მატერიალურად სრულიად დაკმაყოფილებულნი იყვნენ, მხოლოდ რაიცა იტალიელებს შეეხებათ, რომელიც ისპანიაში თამაშობდნენ, ისინი ხომ თითქმის დამდიდრდნენ.

ათას სამას ცხრას ოცეუდღე ვეგა პიესის დადგმის წინააღმდეგ ასდგა, თავის დრამატიულს თხზულებაში (ახალი დრამატიული ხელოვნება, — Новое драматическое искусство) იმას უყვირს, რომ მაცურებლები როგორ ითმენენ, როდესაც სპარსელს და სომეხს ისპანიულს ტანსაცმელში ხედავს. თავის პრალოგებში ავტორი უჩივის მსახიობთ თეატრში შესვლის მომატებას: (როდესაც ერთი რეალი იყო, მაშინ ყველანი დადიოდნენ თეატრში, დარბაზი სავსე იყო ხოლმე, მაგრამ რაც ფასი მოუმატეს, ხალხიც მოაკლდა. თუ მაცქერალთ ეგ მომატებული ფასი გადაიხადონ მშვიერები დარჩებიან და თუ სულ არ წავიდნენ მაშინ მსახიობნი დაიხოცებიან მშვიერები.

რა საჭიროა მასში, იენისში და იელისში თამაშობა? წინათ ღვინობის თვე სრულიად დაჭურავდა ხოლმე ვასაფალს. როდესაც გვიან-გვიან თამაშობდნენ უფრო მეტი ხალხი დადიოდა. მსახიობნი თამაშობდნენ უკეთესათ და პიესები უფრო საყურადღებონი იყვნენ ხოლმე.

საერთოთ წასრულს საუკუნებში ჯეროვნანს უკრადლებას არ აქცევდნენ დასაველითი მეროპიის ხალხი, ვარდა იტალიისა, რომელიც დღესაც პირველი ფართო ადგილი უჭირავს თეატრალურს ხელოვნებაში. დიად, მეტად სამწუხარო იყო ძველ დროს და ეხლაც თეატრის და მსახიობთა ბედი, თუმცა ისინი კი არიან პირველი მასწავლებლები კაცობრიობის ზნეობითი წინ წასასვლელათ. თეატრი და მსახიობი ისეთავე საჭიროებას შეადგენს კაცისათვის, როგორც წყალი და პური. აი, ეს ყოველივე რიგთანათ ესმოდათ იტალიელებს და ჯეროვან ფართო ადგილს აძლევდნენ ამ საზოგადო მოღვაწეთ; ამიტომაც ხელოვნებამ მკვიდრი ფესვები გაიდგა ამ ხალხონობაში და ბევრი ნიჭიერი პირნიც შეჰმატა.



### ნ ა რ ე ვ ი

#### გ ა მ ო ო ა ნ ე ბ ი

1

ერთი რამე სურვილი,  
აზის ბოლოს დასადარსა;  
სამ კვირესა და სამ დღესა,

გამოიყვანს განამკვდარსა.

2

ავსადე ფირფიტელსა —  
დავხუდე გულ-წითელსა.

3

ერთი რამე სულიერი —  
შორის დამკრები ვარდისა,  
ჯერეთ ღვთის მოსამსახურე,  
მერე ყოველი ვარდისა.

4

აბანოელი ბატეა,  
აბანოს ებანეობდა.  
მისი წასვამი, ნაჭამი  
ხეშვიფეს კვადრეობდა.

5

აკიარე ავლასაო,  
თხს დაეკლას თავლასაო.  
ხორცი ვისოსოვე ქებითაო,  
გამამიდგა ქებითაო,

6

ასიუსის მთაზედაო,  
ბუ შემოვიდა ქაზუნდაო.  
მოუქნიე მუჭუტუნნი,  
შემოვიკანი ებაზუნდაო.

7


კრიჭი-კრიჭი კრიჭინასო,  
მკვდარი ცოცხალს იჭირავსო.

9

თავს სქნისი,  
ბოლოს ნამეჯლი.

10

ერთი რამე ვნასე,  
ეშმაკისა სასე.  
ხევით-ხევით დადიოდა,  
ძირს დაეგო მასე.  
წვრილი ჩიტი გაბმულიყო  
ჩემი თვალით ვნასე.



რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.



# ბ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ნ

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი

## „თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სიერცე გაზეთი, „თეატრი“-სა იგივე ღარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მოწერათვის ღირს სუთი (5)

მანეთი, ნახევარის წლით — სამი (3) მანეთი. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

მომაჯალ 1886 წლიდან აბასი წმინთმთლი დამოუკიდებელ მონაწილეობას მიიღებს.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлиси. Въ редакцію „Театръ“.

### ГОДЪ ЧЕТВЕРТЫЙ

О ПРОДОЛЖЕНИИ ВЪ 1886 ГОДУ

**ОБЩЕДОСТУПНАГО ЖУРНАЛА-  
ГАЗЕТЫ.**

## „БЛАГОВѢСТЬ“

Выступить въ провинціи на поприще такой литературной дѣятельности, которая, доставляя общедоступный и назидательный матеріалъ для чтенія, служила бы религиознымъ и патріотическимъ интересамъ нашего дорогаго отечства—Россіи,—дѣло не легкое, чтобы не сказать много-трудное, среди того фальшиваго положенія, въ которомъ очутилась русская интеллигенція, благодаря давней среди насъ враждебной пропагандѣ. Проходя уже молчаніемъ мѣстныя дрязги, мы не можемъ не отмѣтить и другой трудности существовать въ провинціи такому изданію, какъ, напримѣръ, журналъ-газета „БЛАГОВѢСТЬ“. Наша всероссійская отвычка отъ серьезнаго чтенія и пристрастіе къ этому пустому „легкому чтенію“ испортили вообще у насъ вкусъ къ чтенію; изданія же, ратующія за интересы Православія, Самодержавія и Русской народности, среди органовъ фальшивой печати на Руси,—изданія подобныя „БЛАГОВѢСТУ“, заслуживаютъ полнаго вниманія всѣхъ сыновъ отечства. Не смотря, однако, на трудность своего настоящаго положенія, журналъ-газета „БЛАГОВѢСТЬ“, въ сознаніи своей современности и полезности будетъ съ Божією помощію издаваться и въ слѣдующемъ 1886 г. т. е. ЧЕТВЕРТОМЪ уже со дня своего начала. Уповаемъ, что настанетъ время, когда притихнутъ въ Россіи иноземщина и иновѣрщина, когда згинетъ этотъ русскій либерализмъ т. е. всеобщая наша распущенность, а пока.... мы находимъ нужнымъ бла-

говѣстить о Православно-русской и вѣрноподаннической правдѣ и чуждой кривдѣ на святой Руси.

Программа нашего журнала-газеты „БЛАГОВѢСТЬ“ и на слѣдующій годъ остается прежняя:

1. Обозрѣніе текущей Церковно-общественной жизни въ Россіи и за-границею, въ ея современныхъ проявленіяхъ, мѣропріятіяхъ и пр.

II. Корреспонденціи о замѣчательныхъ почему-либо новостяхъ и событіяхъ въ области духовно-нравственной.

III. Очерки, рассказы, жизнеописанія, путешествія, краснорѣчіе, церковная старина, стихотворенія и пр.

IV. Обзорѣніе современной печати, отечественной и иностранной, по вопросамъ духовно-нравственнымъ, рецензіи книгъ и т. п.

V. Отвѣты редакціи и объявленія.

Журналъ-газета „БЛАГОВѢСТЬ“ будетъ выходить по-прежнему два раза въ мѣсяцъ, въ объемѣ отъ одного до двухъ листовъ. Цѣна за годовое изданіе ПЯТЬ руб. сер., съ доставкою городскимъ подписчикамъ и съ пересылкою иногороднымъ, а за полугодовое ТРИ руб. с. Розничная продажа по 20 к. с. за №. Объявленія для напечатанія въ журналъ-газетѣ „БЛАГОВѢСТЬ“, оплачиваются по 8 коп. сер. за строчку пелита.

**ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА ПОДПИСКОЙ ПЛАТЫ, ПО СОГЛАШЕНІЮ СЪ РЕДАКЦІЕЮ.**

Редакціи журналовъ и газетъ, которыя пожелаютъ обмѣниваться съ Редакціей журнала-газеты „БЛАГОВѢСТЬ“ какъ своими изданіями въ 1886 году, такъ равно и перепечаткою у себя объявленій объ изданіи на 1886 годъ, благоволятъ заблаговременно увѣдомить о томъ Редакцію „БЛАГОВѢСТЬ“, а равно перепечатать у себя настоящее объявленіе нѣсколько разъ, до и послѣ новаго года.

Подписка на журналъ-газету „БЛАГОВѢСТЬ“ принимается исключительно въ г. Харьковѣ, въ Конторѣ Редакціи журнала-газеты „БЛАГОВѢСТЬ“, на Екатеринославской улицѣ, въ домѣ Священника П. С. Мигулина № 1/16. Контора открыта ежедневно, отъ 9-ти часовъ утра до 4-хъ пополуд. Личныя объясненія по дѣламъ



Редакции могут быть ежедневно, отъ 12 часовъ дня до 4 часовъ пополудни.

Всякую переписку просимъ отправлять исключительно на имя Редактора-Издателя.

Думая, что настоящiе наши подписчики возобновятъ свои требованiя на журналъ-газету „БЛАГОВѢСТЪ“ и на слѣдующiй 1886 годъ, просимъ ихъ распространять наше патриотическое изданiе между своими знакомыми.

Подписка открыта съ 1-го Октября

Редакторъ-издатель Гр. Кулжинскiй.


# სურათები

ჩვენი პოეტებისა და მწერლებისა

ახალი წამართული

ბრ. მარბელიანი

ილია ჭავჭავაძე



ბრძოლვისა მისა

ბიორგი ერისთავი

სამხედრო მხარე

ჩინებულ ალექსანდროვის ქალაღმჯეა მსატგრობა ა. ბერიძისა

ისყიდება გრაქურაგის წიგნის მალაზიში, ტუკის ხიდის ყურზე, ზუბალოვის სახლგმში და ი. საფარაგის ბაკალიინი მალაზიში, არწრუნისეულ ქარვასლაში.

ვინღ ათს ან მეტს სურათს გამოიწერს, მან თათო სურათო 16 კაპ. დაეთმობა.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1886 г. 25 января.

ბეჭდებს და ჩქარა გამოვა

ოთხ - მიქმედებისა ისტორიული დრამა

თხზ. თ. აკ. წამართელისა

თეატრული წიგნი

რადგანაც ეს დრამა დაბეჭდება ორასი ეგზემპლიარის არა უმეტეს, ამიტომ საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ამ თავიდვე ხელისმოწერის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს «თეატრის» რედაქციას.

ფასი ათი შაურბი

ს ტ ა მ ზ ა

მელიქიშვილისა.

თფილისში—სასახლის ქუჩ., არწრუნისეულ ქარვასლაში, ქართული თეატრის ჩეკიო საწოთულში.

იღებს ყოველ გვარს სასტამბო საქმეებს საბეჭდავთ: ვაზეთებს, წიგნებს, ბროშურებს, აგროტომ უოკელ-გვარ ბლანკებს, გვიტანციებს, სწოტებს, განცხადებებს, აფიშებს, შირობებს და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებზე სტამბა შირობას აძლეკს საქმის მომტანთ.

სტამბა ვისრულობს გორეკტურის გასწორებს და ბროშურების გაცკეთებს, უკეთუ ზაკასის მომტემნი ისურვებენ.

Типография Меликова. Стамб. Мелиქишვილისа.